განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასების თარიღი

2018 წლის 29 მარტი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლება, I საფეხური (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (0203)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ვასაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრები მენეჯმენტში, რომლებსაც ექნებათ საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციები და იქნებიან კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტები. პროგრამა აგებულია მოდულარული პრინციპით. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტიდან ძირითადი სპეციალობის კომპონენტი (168 კრედიტი) მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს -156 კრედიტის (მათ შორის: პრაქტიკა - 6 კრედიტი, საბაკალავრო პროექტი-6 კრედიტი) და ძირითადი სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს - 12 კრედიტის მოცულობით; თავისუფალი კომპონენტი მოიცავს 72 კრედიტს (სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან აღებული ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“ (12 კრედიტი) და 60 კრედიტი - დამატებითი სპეციალობის პროგრამა ან სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან აღებული ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“ (72 კრედიტი). სტუდენტს თავად შეუძლია არჩევანის გაკეთება და ძირითადი სპეციალობის კომბინირება მისთვის სასურველი დამატებითი სპეციალობის პროგრამასთან ან მის მიერ არჩეულ სასწავლო კურსებთან. დამატებითი სპეციალობის პროგრამის არჩევით, დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული ძირითადი სპეციალობისა და/ან ტრანსფერულ კომპეტენციებზე მიმართული თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების, მათ შორის სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან სასწავლო კურსების არჩევით (კონცენტრაციით) სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი ინდივიდუალური პროფილის ფორმირება – პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის კომპეტენციები წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტებისა და სტუდენტის მიერ არჩეული დამატებითი სპეციალობის პროგრამის ან სასწავლო კურსების მეშვეობით მიღწეული კომპეტენციების ერთობლიობას. პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შედეგად. პროგრამს ყავს მოქმედი სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამა გადის ხელახალ აკრედიტაციას, პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე. წინა აკრედიტაციის შემდეგ პროგრამამ განიცადა გარკვეული ცვლილებები, გათვალისწინებულია არსებული რეკომენდაციები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 29 მარტს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (რექტორი, კანცლერი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასაწავლო ელექტრონული პორტალი ფუნციონალური სერვისების მიხედვით. ვიზიტის პერიოდში გასწორდა ერთერთი

განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეში შეცდომით ატვირთული დოკუმენტი. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული სასწავლო უნივერსიტეტისა და უშუალოდ პროგრამის ადმინისტრაციის მიერ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ვიზიტზე ჰქონდა გადამუშავებული მასალა, რომელიც დროულად ცენტრში ვერ წარადგინეს. დაწესებულების განმარტებით, არსებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი მათ უკვე აქვთ გათვალისწინებული შესწორებულ მასალებში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებული იქნა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდეგნილი დოკუმენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთ ჯგუფის შეფასებითა და არსებულის წესის გათვალისწინებით პროგრამა საბოლოო ჯამში სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია, თუმცა ამავე დროს პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია პირველ სტანდარტთან და 2.4, 3.4 და 5.1 სტანდარტების კომპონენტებთან, რაც აისახა პროგრამის მიმართ დაფიქსირებულ რეკომენდაციებსა და რჩევებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება, რაც მიუთითებს პროგრამის სიცოცხლისუნარიანობაზე და მისი განვითარების შესაძლებლობებზე.

- **რეკომენდაციები**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტის კრედიტის მოცულობა მისი მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე 6 კრედიტიდან გაიზარდოს 10 კრედიტამდე და დაზუსტდეს პროექტის შუალედური შეფასებების კომპონენტების ქულები, პროექტის პრეზენტაციის დეტალები. კერძოდ, საჭიროა დაკონკრეტდეს, რომ პროექტი სრულდება ინდივიდუალურად და მისი პრეზენტაცია ასევე ინდივიდუალურად ხდება;
- რეკომენდებულია დაწესებულებაში შემუშავდეს კრედიტების მინიჭების მექანიზმები, რაც შესაძლებლობას მისცემს სასწავლო უნივერსიტეტს მოახდინოს პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების დიფერენცირება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- დასაზუსტებელია სასწავლო კურსის კალკულუსი 1-ის სახელწოდება, როგორც ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“, ხოლო დისციპლინა კალკულუსი 2-ის დასახელება თავისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს, როგორც კალკულუსი. შესაბამისად აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით: ,,კალკულუსი“ - ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ - ,,სტატისტიკა ბიზნესისათვის“;
- რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან ,,რისკების მართვის“ დისციპლინა გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში;
- რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მეტად მოერგოს კურსის სპეციფიკას, კერძოდ სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა“ სწავლის შედეგები უპრიანია შეფასდეს არა რეფერატის, არამედ პროექტის შესრულების მიხედვით, ასევე სასწავლო კურსების (მაგ. სასწავლო კურსებში კორპორაციათა ფინანსები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის სტატისტიკა და ა.შ.) გარკვეულ ნაწილში შეფასების მეთოდად გამოყენებულია 4 ზეპირი გამოკითხვა, 2 წერითი გამოკითხვა და 1 პრეზენტაცია, რაც უმჯობესია მეტად მოერგოს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას;

- რეკომენდებულია გაფართოვდეს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პროცესები, კერძოდ გაიზარდოს სტუდენტური კონფერენციების მასშტაბები, დაიგეგმოს სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმები, უცხოეთის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, გაფართოვდეს მოწვეული უცხოელი ლექტორების საჯარო ლექციები და ა.შ.
- რეკომენდებულია სტუდენტების მხრიდან სასწავლო პროცესების შეფასებისას გაიმიჯნოს ხარისხის შეფასების ფორმები და ცალკე შეფასდეს, როგორც სასწავლო კურსები, ასევე ცალკეული პედაგოგის საქმიანობა. ასევე, რეკომენდებულია განხორციელდეს შეფასების შედეგების სტატისტიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგების გაცნობა ლექტორებისთვის, რათა დადებითი და უარყოფითი შეფასებები გაითვალისწინონ მომავალ საქმიანობაში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია კიდევ უფრო გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის მექანიზმები, პროგრამის შემუშავების პროცესში;
  - გააქტიურდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საკონსულტაციოდ გამოყოფილი საათების ათვისების კონტროლის მექანიზმები;
  - სასურველია, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურში გაიზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რიცხვი, ასევე ფაკულტეტის დონეზეც ამოქმედდეს ხარისხის მართვის ოფისი, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - პროგრამის პოტენციური დამსაქმებლები სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხებში აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო დაწესებულებასთან, აყავთ ვაკანსიებზე, როგორც მოცემული პროგრამის, ასევე სხვა პროგრამების სტუდენტები და საჭიროების შემთხვევაში გამოთქვამენ მზადყოფნას მათთან დასაქმებულ სტუდენტებს დაეხმარონ სწავლის საფასურის დროულად დაფარვაში, გარდა ამისა დამსაქმებლებმა გამოთქვეს სურვილი სტიპენდიების დანიშვნით წაახალისონ პროგრამის წარჩინებული სტუდენტები;
  - სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სტარტაპების დაფინანსების პრაქტიკა, დაფინანსებულია პროგრამის ერთერთი კურსდამთავრებულის სტარტაპი, რომელიც როგორც ირკვევა წარმატებით ფუნქციონირებს.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - ფაკულტეტის ადმინისტრაციის განცხადებით აღნიშნულ პროგრამაში საბაკალავრო პროექტი იყო არჩევითი, თუმცა სტუდენტების აზრის გათვალისწინებით საბაკალავრო პროეტი გახდა სავალდებულო და პროგრამას დაემატა პრაქტიკის კომპონენტიც;

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია მისია, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: ,,სასწავლო უნივერსიტეტი მოწოდებულია, შექმნას ოპტიმალური პირობები თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მქონე, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე გათვლილი კვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ განათლებული სამოქალაქო საზოგადეობის ჩამოყალიბებასა და ქვეყნის სამომავლო განვითარებაში“, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები. პროგრამის გაწერილი სწავლის შედეგების მიხედვით პროგრამის კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის და განათლების ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება – სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატურ აღქმა, სწრაფი ადაპტირება და კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლება, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების რეალიზაცია და კარიერულ წინსვლა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ პროგრამის მიზანი შესაბამება დაწესებულების მისიას ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მისია; ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასთან; ▪ ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.sabauni.edu.ge;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსობრივი თანმიმდევრობა ლოგიკურია და ორიენტირებულია სტუდენტის კომპეტენციების განვითარებაზე. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების, მოდულების შინაარსი, ამ კომპონენტებით დასახული მიზნები და მისაღწევი სწავლის შედეგები ადექვატურია მათი მიღწევისათვის გამოყენებული სწავლების მეთოდების და გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან. ამასთან, პროგრამის კომპონენტები წარმოდგენილია სტანდარტულად 6 კრედიტის მოცულობით, მათ შორის პროგრამით გათვალისწინებული საბაკალავრო პროექტიც. ვინაიდან, საბაკალავრო პროექტი ,,წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის შემაჯამებელ სამუშაოს, რომლის მიზანია გამოვლინდეს საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის შესწავლით სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების დონე“, გამომდინარე აქედან უპრიანი იქნებოდა საბაკალავრო პროექტის მიზნების გათვალისწინებით გაიზარდოს პროექტის კრედიტების მოცულობაც 10 კრედიტამდე მაინც, გარდა ამისა ამავე სილაბუსში დასაკონკრეტებელია პროექტის შუალედური შეფასებების კომპონენტების ქულები და პროექტის პერეზენტაციის დეტალები, კერძოდ საჭიროა დაკონკრეტდეს, რომ პროექტი სრულდება ინდივიდუალურად და მისი პრეზენტაცის ასევე ინდივიდუალურად ხორციელდება. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებაში შემუშავდეს კრედიტების მინიჭების მექანიზმები, რაც შესაძლებლობას მისცემს სასწავლო უნივერსიტეტს მოახდინოს პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების დიფერენცირება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი კალკულუსი 1 თავისი შინაარსიდან გამომდინარე ცდება კალკულუსი 1-ის საზღვრებს და ითვალისწინებს ისეთი საკითხების შესწავლას როგორიცაა, მაგალითად ნულოვანი მოგების განსაზღვრა; ცვეთის წრფივი მოდელის გამოყენება პრაქტიკაში; ეროვნული ეკონომიკის წონასწორობის განტოლებათა სისტემა, სფი და ა.შ. რაც მიგვაჩნია, რომ წარმოადგენს ახალ სასწავლო კურსის ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ საკითხებს, რომელიც თავისი სირთულიდან გამომდინარე არ უნდა ისწავლებოდეს პირველ სემესტრში. გარდა, ამისა დისციპლინა კალკულუსი 2-ის დასახელება თავისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, როგორც კალკულუსი. აღნიშნული კორექტივები თავის მხრივ განაპირობებს მოცემული სასწავლო კურსების შესწავლის რიგითობის კორექტირებას შემდეგი თანმიმდევრობით: ,,კალკულუსი“ - ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ - ,,სტატისტიკა ბიზნესისათვის“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.sabauni.edu.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტის კრედიტის მოცულობა მისი მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე 6 კრედიტიდან გაიზარდოს 10 კრედიტამდე და დაზუსტდეს პროექტის შუალედური შეფასებების კომპონენტების ქულები, პროექტის პერეზენტაციის დეტალები. კერძოდ, საჭიროა დაკონკრეტდეს, რომ პროექტის სრულდება ინდივიდუალურად და მისი პრეზენტაცია ასევე ინდივიდუალურად ხდება. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებაში შემუშავდეს კრედიტების მინიჭების მექანიზმები, რაც შესაძლებლობას მისცემს სასწავლო უნივერსიტეტს მოახდინოს პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების დიფერენცირება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- დასაკორექტირებელია სასწავლო კურსის კალკულუსი 1-ის სახელწოდება, როგორც ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში", ხოლო დისციპლინა კალკულუსი 2-ის დასახელება თავისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს, როგორც კალკულუსი. შესაბამისად აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით: ,,კალკულუსი" - ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში" - ,,სტატისტიკა ბიზნესისათვის".

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ფაკულტეტის ადმინისტრაციის განცხადებით აღნიშნულ პროგრამაში საბაკალავრო პროექტი იყო არჩევითი, თუმცა სტუდენტების აზრის გათვალისწინებით საბაკალავრო პროექტი გახდა სავალდებულო და პროგრამას დაემატა პრაქტიკის კომპონენტიც;

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტები ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებისა და მენეჯმენტის სფეროში არსებული თეორიებისა და პრინციპების ფართო ცოდნაზე, მათ კომპლექსური საკითხების გაცნობიერებაზე. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, მენეჯმენტის დარგში დამკვიდრებული პრაქტიკული უნარების განვითარებას, სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების

კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმიმდევრული სტრუქტურა: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტიდან ძირითადი სპეციალობის კომპონენტი (168 კრედიტი) მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს -156 კრედიტის (მათ შორის: პრაქტიკა - 6 კრედიტი, საბაკალავრო პროექტი-6 კრედიტი) და ძირითადი სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს - 12 კრედიტის მოცულობით; თავისუფალი კომპონენტი მოიცავს 72 კრედიტს (სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან აღებული ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“(12 კრედიტი) და 60 კრედიტი - დამატებითი სპეციალობის პროგრამა ან სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან აღებული ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“ (72 კრედიტი). სტუდენტს თავად შეუძლია არჩევანის გაკეთება და ძირითადი სპეციალობის კომბინირება მისთვის სასურველი დამატებითი სპეციალობის პროგრამასთან ან მის მიერ არჩეულ სასწავლო კურსებთან. დამატებითი სპეციალობის პროგრამის არჩევით, დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული ძირითადი სპეციალობისა და/ან ტრანსფერულ კომპეტენციებზე მიმართული თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების, მათ შორის სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან სასწავლო კურსების არჩევით (კონცენტრაციით) სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი ინდივიდუალური პროფილის ფორმირება. პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შედეგად. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია მაინორ სპეციალობა (თეოლოგიის, ტურიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებისათვის), შესაბამისად ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისათვის სამართლიანად შეთავაზებულია განსხვავებული სასწავლო კურსების ერთობლიობა, ხოლო თეოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტებისათვის ასევე განსხვავებული დისციპლინების ერთობლიობა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში რისკების მართვის ზოგიერთი კომპონენტი ისწავლება, მიგვაჩნია, რომ პროგრამის ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან ,,რისკების მართვის“ დისციპლინა უმჯობესია გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.sabauni.edu.ge
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან ,,რისკების მართვის“ დისციპლინა გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შემუშავებულია ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ანალოგიური პროგრამების, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს და შრომის ბაზრის, პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნათა გათვალისწინებით. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის კომპეტენციები წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტებისა და სტუდენტის მიერ არჩეული დამატებითი სპეციალობის პროგრამის ან სასწავლო კურსების მეშვეობით მიღწეული კომპეტენციების ერთობლიობას. პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპონენტები, მათი სწავლების მეთოდები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას განათლების შემდგომ საფეხურზე და დასაქმების ბაზარზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიუები პროგრაის პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ პოტენციური დამსაქმებლების, პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხის შედეგები; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.sabauni.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად. სასწავლო უნივერსიტეტში ხორცილედება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ყოველწლიური შეფასება, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაში ჩართული სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვას პროგრამის და პროგრამის კომპონენტების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პერიოდულად ტარდება სამუშაო შეხვედრები დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით მათი მოთხოვნების, საჭიროებების, მოსაზრებებისა და სურვილების დადგენის მიზნით. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღეს დამსაქმებლებმა, პროგრამის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესი; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ პოტენციური დამსაქმებლების, პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხის შედეგები; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.sabauni.edu.ge

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია კიდევ უფრო გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის მექანიზმები, პროგრამის შემუშავების პროცესში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪ პროგრამის პოტენციური დამსაქმებლები სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხებში აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო დაწესებულებასთან, აყავთ ვაკანსიებზე, როგორც მოცემული პროგრამის, ასევე სხვა პროგრამების სტუდენტები და საჭიროების შემთხვევაში გამოთქვამენ მზადყოფნას მათთან დასაქმებულ სტუდენტებს დაეხმარონ სწავლის საფასურის დროულად დაფარვაში, გარდა ამისა დამსაქმებლებმა გამოთქვეს სურვილი სტიპენდიების დანიშვნით წაახალისონ პროგრამის წარჩინებული სტუდენტები.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განჭირვალეა და უზრუნველყოფს სათანადო უნარების მქონე პირების მოხვედრას პროგრამაზე. კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე, გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). პროგრამაზე მიღების წინაპირობების გამჭვირვალეობა უზრუნველყოფილია მისი ხელმისაწვდომობით დაინტერესებული პირებისათვის. სათანადო ინფორმაცია ასახულია საგანმანათლებლო პროგრამაში, განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.sabauni.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში სწავლების პროცესში, გამოიყენება ცოდნის გადაცემის სხვადასხვა საშუალებები ანუ სწავლების მეთოდები, კერძოდ: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და სხვა მეთოდები. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, რაც მიმართულია სასწავლო პროცესის აქტივიზებაზე და სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე, შემეცნებითი/კვლევითი უნარების, ცოდნით აქტიური ოპერირებისა და პრაქტიკული გამოყენების, სიტუაციის და ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციის, შედეგების დაკონკრეტების, განზოგადებისა და ახსნის, მსჯელობისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, სამუშაოს სტრუქტურირებისა და დროის მენეჯმენტის, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების, გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის, კომუნიკაციის დამყარებისა და დისკუსიის წარმართვის, თვითპრეზენტაციის და თვითშეფასების და სხვ. უნარ–ჩვევების ჩამოყალიბებაზე. პროგრამის კომპონენტების შესწავლისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სასწავლო კურსების სილაბუსებში, მათი განმარტებები კი განთავსებულია ვებ–გვერდზე http://sabauni.edu.ge/ge/for-students/regulations-rules და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამის კომპონენტის შესწავლისას გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ დაგეგმილი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების მიღწევას, საბაკალავრო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა კი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის ჩამოყალიბებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესი; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.sabauni.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია, რაც ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში. დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით და ასახულია პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობების მატრიცაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდების ცვლილება გამოიწვევს მათი სწავლების რიგითობის შეცვლასაც შემდეგი თანმიმდევრობით: ,,კალკულუსი" - ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში" - ,,სტატისტიკა ბიზნესისათვის". აღნიშნული საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკა აღწერილია პირველი სტანდატრის 1.2. კომპონენტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესი;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.sabauni.edu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში, მათ შორის ელექტრონული პორტალის გამოყენებით. გარდა ამისა, რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მეტად მოერგოს კურსის სპეციფიკას, მაგალითად სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა“ სწავლის შედეგები უპრიანია შეფასდეს არა რეფერატის, არამედ პროექტის შესრულების მიხედვით, ასევე სასწავლო კურსების (მაგ. სასწავლო კურსებში კორპორაციათა ფინანსები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის სტატისტიკა და ა.შ.) გარკვეულ ნაწილში შეფასების მეთოდად გამოყენებულია 4 ზეპირი გამოკითხვა, 2 წერითი გამოკითხვა და 1 პრეზენტაცია, რაც უმჯობესია მეტად მოერგოს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესი; ▪ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ▪ ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.sabauni.edu.ge
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მეტად მოერგოს კურსის სპეციფიკას, კერძოდ სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა“ სწავლის შედეგები უპრიანია შეფასდეს არა რეფერატის, არამედ პროექტის შესრულების მიხედვით, ასევე სასწავლო კურსების (მაგ. სასწავლო კურსებში კორპორაციათა ფინანსები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის სტატისტიკა და ა.შ.) გარკვეულ ნაწილში შეფასების მეთოდად

გამოყენებულია 4 ზეპირი გამოკითხვა, 2 წერითი გამოკითხვა და 1 პრეზენტაცია, რაც უმჯობესია მეტად მოერგოს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით შედგენილი კრიტერიუმები. პროგრამის კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელ პირს ევალება სტუდენტებს პირველივე შეხვედრაზე წარუდგინოს სასწავლო კურსის სილაბუსი და გააცნოს სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, ამ შედეგების მიღწევის მეთოდები, სასწავლო კურსის შინაარსი, შეფასების კრიტერიუმები. სტუდენტები მიღწეულ შედეგების შესახებ ინფორმაციას პირველად იღებენ ელექტრონული პორტალით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ მიღწეული შედეგების გასაჩივრება სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილი წესით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგებისა და არსებული ნაკლოვანებების შესახებ და იძლევა სწავლის მიღწევების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ▪ ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა.

▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.sabauni.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ ელექტრონული ბაზებიდან და ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. ამავდროულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები ადმინისტრაციასთან. სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ პროფესორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და ბიბლიოთეკასთან უწყვეტ რეჟიმში აქვთ კომუნიკაცია და ისინი მარტივად იღებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას. (მაგ.: ელ. მასალებზე წვდომა, პროგრამის დაგეგმვა, სიახლეებზე წვდომა და ა.შ). სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების

შედეგად დასტურდება, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი დაინტერესებულია სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციით და სათანადო რეაგირების საკითხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ელექტრონული ბაზის ფუნქციების გაცნობა. ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდი - http://sabauni.edu.ge/ge/bachelor/business
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში ყოველკვირეული კონსულტაციის/ინდივიდუალური მუშაობის შესახებ ინფორმაცია, სასწავლო კურსზე პასუხისმგებელი ლექტორის საკონტაქტო ინფორმაციასთან (ტელეფონი, ელფოსტა) ერთად, ასახულია შესაბამის სილაბუსში. საკონსულტაციო საათები ხელს უწყობს ნებისმიერი საგნის სწავლის შედეგებზე გასვლის თანმიმდევრულ პროცესს, პროგრამის სრულ ათვისებას, კვლევით პროცესებში სტუდენტების ჩართვას, საკონფერენციო თემების, პროექტების, საბაკალავრო ნაშრომების მომზადებას, გაცვლით პროექტებში მონაწილეობისთვის მზადებას და ა.შ. აღნიშნული აქტივობები ხორციელდება საკონსულტაციო საათების ხარჯზე. პროგრამაში არსებული ყოველი საგნის პედაგოგთან შესაძლებელია ინდივიდუალურად საკონსულტაციო საათებზე წინასწარ შეთანხმება, ან ინდივიდუალურად მათთან მუშაობა. არსებობს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საკონსულტაციო საათების გრაფიკიც, რომელიც განთავსებულია ვებ. გვერდზე, თუმცა ზოგიერთი პედაგოგი

მიუხედავად, იმისა რომ ანხორციელებს კონსულტაციებს სტუდენტებთან, აღნიშნულ გრაფიკს ნაკლებად იცნობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდი - http://sabauni.edu.ge/ge/bachelor/business
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ გააქტიურდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საკონსულტაციოდ გამოყოფილი საათების ათვისების კონტროლის მექანიზმები;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან. სტუდენტებს ეძლევათ დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელების საშუალება, სასწავლო უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს

სხვადასხვა ტიპის კურიკულუმისგან დამოუკიდებელ აქტივობებს, რაშიც აქტიურად არიან ჩართულები სტუდენტები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა აქტიური კლუბი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება (http://sabauni.edu.ge/images/PDF/tvt.debuleba.pdf); ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდი - http://sabauni.edu.ge/ge/bachelor/business
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪ სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სტარტაპების დაფინანსების პრაქტიკა, დაფინანსებულია პროგრამის ერთერთი კურსდამთავრებულის სტარტაპი, რომელიც როგორც ირკვევა წარმატებით ფუნქციონირებს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტი მეტწილად ორიენტირებულია სწავლების ინტერნაციონალიზაციაზე, რაც დასტურდება სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით, მოწვეული უცხოელი ლექტორების ლექციებით და პროგრამაში ინგლისური ენის კომპონენტების არსებობით. ამასთან, სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი სურვილი და მზაობა ინტერნაციონალიზაციის პროცესებში უფრო ღრმად ჩართვისადმი, შესაბამისად მიგვაჩნია, რომ უნდა გაფართოვდეს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პროცესები, კერძოდ გაიზარდოს სტუდენტური კონფერენციების მასშტაბები, დაიგეგმოს სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმები და გაფართოვდეს მოწვეული უცხოელი ლექტორების საჯარო ლექციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდი - http://sabauni.edu.ge;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია გაფართოვდეს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პროცესები, კერძოდ გაიზარდოს სტუდენტური კონფერენციების მასშტაბები, დაიგეგმოს სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმები, უცხოეთის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, გაფართოვდეს მოწვეული უცხოელი ლექტორების საჯარო ლექციები და ა.შ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია გამართული, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია ინფორმაციული ტექნიკით (პროექტორები, კომპიუტერები, უკაბელო ინტერნეტი); ბიბლიოთეკა, რომლშიც წარმოდგენილია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები. პერიოდულად, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალიდან წამოსული მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ახორციელებს ახალი სასწავლო ლიტერატურის შეძენის პროცესს, გარდა ამისა სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია EBSCO-სპაკეტის მონაცემთა ბაზები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მატერიალური ბაზის დათვალიერება ადგილზე; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან და კანცლერთან გასაუბრება; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული

პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. აკადემიური პერსონალის ფლობს დარგის თეორიას, პრაქტიკას, მეთოდებსა და პროფესიულ უნარებს. მოწვეული პერსონალის კომპეტენცია ძირითად შემთხვევებში ორიენტირებულია პრაქტიკულ გამოცდილებაზე. პროგრამის განახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია კარგი გამოცდილება პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით, მათი სამეცნიერო პუბლიკაციები იბეჭდება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში, გავლილი აქვთ კვალიფიკაციის ამაღლების საერთაშორისო და ადგილობრივი ტრეინინგ კურსები, თავად არიან ტრენერები, ფლობენ სხვადასხვა სახის პროფესიული ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატებს და მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო კონფერენციებში. პროგრამის კურუკულუმის მიხედვით პროგრამის განხორციელებას ემსახურება 47 პერსონალი, აქედან 4 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი, 34 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან 7 აფილირებულია სასწავლო უნივერსიტეტთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან; ▪ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ▪ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერისტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ორიენტირებულია პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისთვის. აღსანიშნავია სტუდენტების კარგი დამოკიდებულება ადმინისტრაციასთან, ასევე გამოიკვეთა სტუდენტების კეთილგანწყობა ფაკულტეტის დეკანატთან მიმართებით. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, კანცლერმა და უშუალოდ ფაკულტეტის დეკანმა ინტერვიურებისას წარმოადგინეს დაწესებულების, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული ხედვები, იასაუბრეს იმ გამოწვევებზე, რომლებიც დგას თანამედროვე უმაღლესი სასწავლო დაწესებულების წინაშე. ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურს დღეის მდგომარეობით ოფიციალურად წარმოადგენს მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული პერსონალი, შესაბამისად სასურველია, რომ ფაკულტეტის დონეზეც ფუნქციონირებდეს ხარისხის მართვის ოფისი, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პერსონალის პირადი საქმეები. ▪ შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები (შრომითი რესურსების მართვის განყოფილება, იურიდიული განყოფილება, მონიტორინგის განყოფილება და ა.შ.); ▪ ინტერვიუ სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურის უფროსთან, ფაკულტეტის ადმინსტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურში გაიზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რიცხვი, ფაკულტეტის დონეზეც ამოქმედდეს ხარისხის მართვის ოფისი, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ სასწავლო მასალების განახლებისთვის აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. კურსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა წარმოდგენილია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ელექტრონული ან წიგნის სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან; ▪ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (ელექტრონული და წიგნის სახით წარმოდგენილი ლიტერატურა);
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება და მისი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა ხორციელდება ფაკულტეტის შემოსავლებიდან, რაც გათვალისწინებულია სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტში. იგი მიმართულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი და არაწიგნადი ფონდების შევსებაზე პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით, სტუდენტთა აქტივობის წახალისებაზე, ინტელექტუალური რესურსის მოზიდვაზე და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუები სასწავლო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ პროგრამის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რეგულირდება სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სწავლების ხარისხის შეფასების წესით და ხარისხის მართვის სამსახურის მოქმედების პრინციპის (PDCA) მიხედვით. მასში გათვალისწინებულია ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლი, რომლის შესაბამისად ხარისხის მართვის სამსახური გეგმავს თავის საქმიანობას. სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი სამსახურის მიერ ხორციელდება ყოველწლიური გამოკითხვები, თუმცა არსებული მასალების გაცნობის შემდეგ გამოიკვეთა კონკრეტული დეტალები, რომლებიც საჭიროებს დახვეწას, კერძოდ, რეკომენდებულია სტუდენტების მხრიდან სასწავლო პროცესების შეფასებისას გაიმიჯნოს ხარისხის შეფასების ფორმები

და ცალკე შეფასდეს, როგორც სასწავლო კურსები, ასევე ცალკეული პედაგოგის საქმიანობა. ასევე, რეკომენდებულია განხორციელდეს შეფასების შედეგების სტატისტიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგების გაცნობა ლექტორებისთვის, რათა დადებითი და უარყოფითი შეფასებები გაითვალისწინონ მომავალ საქმიანობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კვლევის შედეგები; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრება; ▪ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; ▪ სასწავლო უნივერსიტეტის სწავლების ხარისხის შეფასების წესი;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია სტუდენტების მხრიდან სასწავლო პროცესების შეფასებისას გაიმიჯნოს ხარისხის შეფასების ფორმები და ცალკე შეფასდეს, როგორც სასწავლო კურსები, ასევე ცალკეული პედაგოგის საქმიანობა. ასევე, რეკომენდებულია განხორციელდეს შეფასების შედეგების სტატისტიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგების გაცნობა ლექტორებისთვის, რათა დადებითი და უარყოფითი შეფასებები გაითვალისწინონ მომავალ საქმიანობაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს. შიდა შეფასების მექანიზმს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სწავლების ხარისხის შეფასების წესი). გარე შეფასების მექანიზმად თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია მხოლოდ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სისტემები, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ დასტურდება მოწვეული სპეციალისტის ჩართულობა გარე შეფასების მექანიზმში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრება; ▪ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; ▪ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სწავლების ხარისხის შეფასების წესი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 31

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			
საბოლოო შეფასება	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სახელი, გვარი, ხელმოწერა

ვასილ კიკუტაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მანანა ვასაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დავით ბურჯანაძე